№ 54
სამშაბათი 12 მარტი, 1902 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაური.

**„ივერიის“ ტელეფონი № 227.**

1877—1902

# ივერია

№ 54
სამშაბათი 12 მარტი, 1902 წ.

რედაქცია
**ნიკოლოზის ქუჩა № 21.**
ტფილისი.
**გაზეთის დასახელებაზ**
და განცხადებათა ლასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ. მეოთხეზედ—5 კაპ.

**„ივერიის“ ტელეფონი № 227.**

ოთხშაბათს, 13 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**ნინო იაგორის ასულის ყიფიანისა**

რასაც მახლობელნი განსვენებულისა აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—308—1)

**თანახმად უმთავრეს კანტორის განკარგულებისა**

**12, 13, 14, 15** და **16** ამა მარტის თვისას

გაიყიდება **ნამდვილად** დაკლებულ ფასად განსაკუთრებით ის საქონელი, რომელიც დარჩა მაღაზიას

**ძმ. ა. და ი. ალუმანზებისას**

სასახლის ქუჩა.

(1—1)

**1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი**

**„ივერია“**

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
**ბაქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ხონში:**—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.
საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
**მაღალაშვილი**
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

**იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი**
ექიმი
სწამლობს სიფილისსა და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85. (წ.)

ექიმი
**ვახტანგ ღამბაშიძე**
სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 11-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
**დილაობით:**
**ს. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
**ა. კ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
**საღამოობით:**
**ნ. ნ. როსტომბეკოვი**, 5—6 ს. საქირურგო და კანისა.
**ა. ნ. ზაქაროვსკი.** 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
**ს. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
**Первая частная лечебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцову.** (წლ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
**მიხეილ ბედევანიშვილისა**
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ტელეფონი № 274.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
**დილით:**
**მ. ი. ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
**მიხეილ ბედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.
**ე. გ. ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
**მ. დ. ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
**კ. მ. ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
**დ. ა. ბედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
**სტ. ა. ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.
**საღამოთი:**
**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.
**გ. ს. დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.
**კვირაობით:**
**გ. გ. მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

## ვ. აბაშიძის 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაული.

კვირას, 10 მარტს, ქართველობამ დიდის ამბით გადაიხადა საყვარელ არტისტის ვ. ა. აბაშიძის მოღვაწეობის დღესასწაული. ამ დღესასწაულს მოანდომეს თითქმის მთელი დღე. დაიწყო დღესასწაული ნაშუადღევის პირველ საათზედ. ამ დროსთვის აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ქართულ თეატრში: ქართველ საზოგადოებისა, ცნობილ მწერალთა, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა და სხვათა გარდა იქ იყვნენ საქართველოს ქალაქებიდგან და დაბა-სოფლებიდგან ჩამოსული დეპუტატები. რაფაელის იუბილეის შემდეგ არ გვახსოვს, რომ ამოდენა ქართველობას მოეყაროს თავი. ბევრი ადგილობისა გამო მეტად დაღონებული დაბრუნდა უკან. თვით დღესასწაული დაიწყო ნაშუადღევის პირველ საათზედ. ვიდრე ფარდა აიხდებოდა, სცენაზედ გამოვიდა არჩილ ჯორჯაძე და წაიკითხა ვრცელი წერილი ქართულ თეატრისა და იუბილიარის მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ წარმოდგენილი იქმნა ერთი მოქმედება გ. ერისთავის კომედიის „გაყრისა“ თვით იუბილიარის მონაწილეობით.

წარმოდგენის შემდეგ დაიწყო ადრესებისა, მილოცვებისა და დეპეშების კითხვა. საუცხოვო სურათს წარმოადგენდა სცენა ფარდის ახდის შემდეგ. მთელი იმოდენა ადგილი ბ-ნ აბაშიძეს მისალოცად მოსულ წარმომადგენლებსა და დეპუტატებს ეჭირათ. გვირგვინებით ხელში ასამდე ქალი და კაცი სცენაზედ იხდნენ და მოელოდნენ საყვარელის იუბილიარის შემოსვლას. მარჯვნივ მაღლობზედ სავარძელი იდგა აბაშიძესთვის. სწორედ სამი საათის ნახევარი იყო, როდესაც ვლ. ალექსი-მესხიშვილმა, ვ. გუნიამ და კოტე მესხმა იუბილიარი შემოიყვანეს. როგორც ერთი კაცი, თეატრში მყოფი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა და იშვიათის აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგება ძვირფასს არტისტს. საზოგადოება, სულ ცოტა, ათი წუთი მაინც უკრავდა ტაშს. შემდეგ შეუდგნენ ადრესების კითხვასა და სიტყვების წარმოთქმას. პირველად იუბილიარის წინაშე წარსდგნენ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე და წევრნი. თავმჯდომარემ ბ-მა ქართველიშვილმა წაიკითხა ადრესი და მიართო გამგეობის მხრივ ორას მანეთად ღირებული ვერცხლის გვირგვინი სურათიანურთ. საზოგადოება, როგორც გამგეობისას, ისე შემდეგ წაკითხულ ადრესებს და სიტყვებს ტაშის ცემით ეგებებოდა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის შემდეგ ვასილ აბაშიძეს 25 წლის მოღვაწეობა მიულოცა ქალაქ ტფილისის თვითმმართველობის მხრივ ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ს. ჩერქეზიშვილმა, რომელმაც ვრცელ სიტყვაში, აღნიშნა რა აბაშიძის ხანგრძლივი და ერთგული ქართულის მოღვაწეობა თეატრის წინაშე, უსურვა კიდევ დიდის ხნის მოღვაწეობა ამ თეატრის საკეთილ-დღეოთ. მერე ვრცელივე ადრესი წაიკითხა ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრმა გრ. გველესიანმა ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობის მხრივ. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს, ადრესები წაიკითხეს და მიულოცეს იუბილიარს: სახაზინო თეატრის მხრივ თავ. გრ. არღუთაშვილმა, საარტისტო საზოგადოების მხრივ ბატ. მესხმა, საუცხოვო სიტყვა წარმოსთქვა მერე სომხეთა სათეატრო ამხანაგობის მხრივ გ. ხატისოვმა. საზოგადოებას ძალიან მოეწონა ეს სიტყვა და ორატორი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა. ადრესები წაიკითხეს და გვირგვინები მიართვეს აგრეთვე შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და დაბა-სოფლების დეპუტატებმა: 1) ტფილისის სახალხო თეატრის რუსულ სექციისა; 2) სომხურ სექციისა—ტერ-მინასოვმა; 3) ქართულ სექციისა—გოცირიძემ; 4) ქუთაისის დრამატიულ დასისა—მესხიშვილმა; 5) სომხურ დრამატიულ დასისა—არუთინიანცმა; 6) ქუთაისის საზოგადოებისა—ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა მოსე ქიქოძემ; 7) ქალაქ ფოთისა; 8) გურიის საზოგადოებისა—ნ. თავდგირიძემ; 9) თელავისა—კ. მაყაშვილმა; 10) ჭიათურისა—ვ. აბაშიძემ; 11) ბაქოსი—ეფემია მესხმა; 12) გორის მაზრისა—ხერხეულიძემ; 13) დუშეთისა—დაფქვიაშვილმა; 14) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა—კ. ჯაფარიძემ; 15) ტფილისის სათავადაზნაურო სკოლისა—რატიშვილმა; 16) გაზ. „ივერიისა“—ი. ახალშენიშვილმა; 17) „კვალისა“—ი. ევდოშვილმა; 18) „ცნობის ფურცლისა“ და „მოამბისა“; 19) «Тифл. листокъ»-ისა—ჭეშმარიტოვმა; 20) პეტერბურგელ ჟურნალის „Театръ и искусство“-სი—კობიაკოვმა; 21) რკინის გზის მოსამსახურეთა—ჰყონიამ; 22) პეტერბურგის სტუდენტებისა—ნათაძემ; 23) ტფილისის მეორე გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთა; 24) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა (მიართვეს შექსპირის თხზულებანი); 25) კადეტთა კორპუსის ქართველ მოსწავლეთა; 26) სომხურ გაზეთ „ნორ-დარისა“; 27) თელავის სცენის მოყვარეთა—აჯიმამუდოვმა; 28) ქვემო ქალის სცენის მოყვარეთა—ჯანდიევმა; 29) საგარეჯოს სცენის მოყვარეთა—გულისაშვილმა; 30) ახალქალაქის სცენის მოყვარეთა—თარხნიშვილებმა; 31) ტფილისელ მელიმონეთა (წაიკითხა ლექსი); 32) ტფილისელ ხელზედ მოსამსახურეთა; 33) კნეინა ნინო ორბელიანისა; 34) ვ. აბაშიძის სამშობლო სოფელ სავანესი. ამ სოფლის წარმომადგენლებად იყვნენ თვით იუბილიარის ნათესავნი. მათ წაიკითხეს ადრესი და მოახსენეს ვასილ აბაშიძეს: ამ დღის სახსოვრად სოფელ სავანეს აბაშიძეებმა მოგიძღვნეთ ორი დესეტინა საავარაკო მიწა სავანეში და ამას გარდა ორი ქცევა მიწა გადავდეთ სოფ. დურევში იმ აზრით, რომ იქ წერა-კითხვის საზოგადოებამ ვ. აბაშიძის სახელობაზედ სკოლა დააარსოსო; 35) დასასრულ არტისტების მხრივ მიულოცა და ადრესი წაიკითხა ს. სვიმონიძემ და მიართვა ალბომი. თითქმის ყველა დეპუტაციამ მიართვა საჩუქრები იუბილიარს. დასასრულ შეუდგნენ სხვა და სხვა კუთხიდამ მიღებულ დეპეშების კითხვას. ამ დღესასწაულის გამო მიღებულ იქმნა ოთხმოცამდე დეპეში; სხვათა შორის, პროფესორ პეტრიაშვილისაგან, არტისტის თავ. სუმბათაშვილისაგან (იუჟინი), გორისა და ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან, ყველა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებისაგან, თიანეთის საზოგადოებისაგან (ამ საზოგადოებამ საავარაკო ადგილი უძღვნა ვასილ აბაშიძეს), პეტერბურგის, მოსკოვისა, ხარკოვის კიევის და სხვა ქალაქების ქართველთაგან. ფოთის რაზმის ქართველ ჯარის კაცთაგან, მიუნხენის ქართველებისაგან და მრავალ სხვათაგან.

დასასრულ, ვ. აბაშიძემ აღელვებულის ხმით შემდეგი მადლობა გადაუხადა საზოგადოებას:

„ბატონებო! ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ.

დღევანდელმა დღემ ნათლად დამანახვა, რომ ქართველს ერს შესძლებია დაფასება და პატივისცემა არა მარტო დიდ მოღვაწეთა, არამედ ისეთის მცირე მუშაკებისაც, როგორიც მე ვარ გახლავართ.

„ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ რა ეკლიანი და უხამ-ნაღვლიანი იყო და არის ქართულს სცენაზე შრომა. მაგრამ დღევანდელი დღე ყველას გარამს მავიწყებს. დღევანდელმა დღემ დამიმტკიცა, რომ ჩემს მცირე შრომასაც, ამ 25 წლის განმავლობაში, სამშობლო სცენაზე უქმად და უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

„გიმეორებ, ნება მიბოძეთ, ყველას გამოგიცხადოთ ჩემი გულითადი მადლობა: მადლობა მომიხსენებია აგრეთვე ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელთათვის, მადლობას ვუძღვნი ჩემს ამხანაგებს, სომეხთა არტისტებს და თანამშრომლებს“.

ამით დასრულდა დილის დღესასწაული.

საღამოს წარმოდგენაზედ იმოდენავე ხალხი შეიკრიბა, რაც დილით იყო. წარმოდგენას ოთხი მოქმედება სხვა-და-სხვა პიესიდგან. არტისტები საუცხოვოდ თამაშობდნენ. წარმოდგენის შემდეგ დღესასწაული მიულოცეს ვასილ აბაშიძეს ამხანაგებმა—ვალ. გუნიამ, ვლად. ალექსი-მესხიშვილმა, კოტე მესხმა, ეფემია მესხმა, ტასო აბაშიძემ, ადამიძემ; აწყურელმა და ივანიძემ წაიკითხეს ლექსები. ბატ. გედევანოვმა წაიკითხა ადრესი სომხურ გაზეთ „მშაკის“ რედაქციისა. მიულოცეს აგრეთვე იმათ (მეჩექმეებმა), ვინც დილით ვერ მოასწრეს. ამ მილოცვების შემდეგ მთელი ნახევარ საათი იწვევდა საზოგადოება აბაშიძეს და უკრავდა ტაშს. დასასრულ, იუბილიარი ტახტრევანში ჩასვეს და ისე მიაცილეს ეტლამდე. საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა. იუბილეიმ ყველაზედ საუკეთესო და საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს წარმოდგენას კავკასიის მთავარმართებელი თავადი გ. ს. გალიცინიც დაესწრო.

დილისა და საღამოს წარმოდგენების შემოსავალ და აგრეთვე სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ მიღებულ ფულის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არ არის.

## ახალი ამბავი

◆ ჩვენს ცნობილ ქველმოქმედთ ძმათა ზუბალაშვილებს 15,000 მანეთი შეუწირავთ ბაქოში რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების შენობის ერთ-ერთ დარბაზთაგანის მოსაწყობად. ეს შენობა დიდი ხანია შენდება, მაგრამ ფულის უქონლობისა გამო აქამდე ვერ დაესრულებინათ.

◆ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ბაქოს სადგურის უფროსის თანაშემწის იოველ მესხის მოკვლის ზოგიერთ გარემოებათა შესახებ. მკვლელმა ჩერნიკოვმა ფინური დანა ჩაჰკრა მარჯვენა ლავიწში და თუმცა ექიმი მაშინვე გაჩნდა და შემწეობა აღმოუჩინა, მაგრამ ჭრილობა ისეთი მძიმე აღმოჩნდა, რომ დაჭრილი 10 წამის შემდეგ გადაიცვალა, წინა დღეებში სტუმრად მოსულ დედის ხელში. სადგურზე მაშინვე გაჩნდნენ გუბერნატორისა და პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელნი და პროკურორი. მკვლელი ჩერნიკოვი 16 წელიწადს ვაგონების გადამბმელად მსახურებდა, ბოლოს ხნებში გაეგოთ, რომ იგი ცისტერნებიდგან იპარავდა ნავთს და კონტრაბანდისტებზე ჰყიდდა. ამის გამო სამსახურიდგან დაუთხოვნიათ იგი მესხის ბაქოში გადაყვანის წინად, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ისევ მიუღიათ სამსახურში. მესხს ორჯერ დაუჭერია იგი ქურდობაში, პირველად საყვედური უთქვამს, მეორედ სამსახურიდგან დაუთხოვნია. დაჭერის პირველ წამებში ჩერნიკოვს უთქვამს, ექვსი სხვა კაცის მოკვლაც მინდოდა, რომ არ დავეჭირეთო. განსვენებული მესხი რამდენიმეჯერ იყო წარდგენილი ბაქოს სადგურის უფროსის თანამდებობაზე ვედენიევის დროს. ამ სამი კვირის წინად მას შეეძლიეს თურმე შიდა რუსეთში ერთი დიდი სადგურის უფროსობა და ტფილისში ჩამოვიდა ნათესავებთან რჩევის საკითხავად—წასულიყო, თუ არა. ნათესავებს ვერ ერჩიათ სამშობლოს მიტოვება და განსვენებულიც მათ რჩევას დაჰყოლოდა...

◆ კვირას, 10 მარტს, საღამოს 7 საათზე შესდგა კრება მართლმადიდებელ საეკკლესიო გალობის მოყვარე საზოგადოებისა პირველს საქალებო გიმნაზიაში. კრებას დაესწრნენ: საქართველოს ექსარხოსი ალექსი, სემინარიის რექტორი და ქალაქის სამღვდელოება. საზოგადოებას საგნად აქვს გაავრცელოს კავკასიაში საეკკლესიო გალობა, როგორც რუსული, აგრეთვე ქართულიც. საზოგადოებას ჰყავს, 1) საბჭო, რომელსაც შეადგენს ათი ამორჩეული წევრი, 2) საპატიო წევრები, რომლებსაც შრომა უნდა მიუძღოდესთ საეკკლესიო გალობის გავრცელების საქმეში და კასსაში შეტანილი უნდა ჰქონდეთ არა ნაკლებ 100 მანეთისა, 3) ნამდვილი წევრები, რომლებმაც წელიწადში 3 მანეთი უნდა შეიტანონ კასსაში და 4) წევრნი თანამგრძნობელნი, რომლებმაც წელიწადში 1 მან. უნდა შეიტანონ. კრების დასაწყისს მისმა მაღალყოვლად-უსამღვდელოესობამ ალექსიმ სამღვდელოების თანამწირველობით გადიხადა პარაკლისი. პირველად წაკითხულ იქმნა სიტყვა ამ საზოგადოების დანიშნულების შესახებ და შემდეგ განიხილეს წესდება. იაიჩკომ განმარტა, თუ როგორ სისტემატიურად გამდიდრდა მართლმადიდებლობის გალობა. ინჟენერმა ისაევმა წაიკითხა სიტყვა, რომელშიაც დაწვრილებით განმარტა ის დიდი მნიშვნელობა ხალხის ზნეობრივ ამაღლებისათვის და სულიერად დატკბობისათვის, რომელიც აქვს და ჰქონდა საეროდ მუსიკას და განსაკუთრებით-კი გალობას. ექსარხოსმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და შემდეგ შეუდგნენ საბჭოს ნამდვილ წევრების არჩევანს; არჩეულ იქმნენ: იაიჩკო, ბოგოსლოვსკი, გოროდცოვი, მღვდელი მიხაილოვსკი, ტროიცკი, პოკროვსკი, მირონოვიჩი, ვოსკრესენსკი, მოლოდინაშვილი, ნაიდენოვი, ისაევი, პახუნოვი; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: მღვდელი ტყემალაძე და გორტინსკი.

ამავ კრებაზე შეკრებილ იქმნა წევრთა შორის ფული სულ 90 მანეთი. ამათგან ექსარხოსმა ალექსიმ შესწირა 50 მანეთი, ისაევმა 10 მან., დანარჩენებმა სამ-სამი მანეთი.

კრების გათავების შემდეგ გაგზავნილ იქმნა დეპეშა ხარკოვისა და სუმის არქიეპისკოპოს

ფლიგანისთან, როგორც საზოგადოების დამ-ფუძნებელი.

✦ სამშაბათს, 12 მარტს, [illegible] კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც განიხილავს [illegible] კრება დაიწყება საღამოს 8 საათზე. [illegible]

„Каспій" მოგვითხრობს შემდეგს ამბავს: [illegible] 10,383 მანეთი და 15 კაპ. [illegible]

✦ რედაქციამ მიიღო მე-3 ნომერი ჟურნალ „მოგზაურისა" შემდეგის შინაარსით: [illegible] (1789 წ.) [illegible]

✦ ამავე ნომერთან რედაქციამ მიიღო ჟურნალის დამატება [illegible] შემდეგის შინაარსით: I. [illegible] II. [illegible] III. [illegible] IV. [illegible]

✦ რედაქციამ მიიღო მე-№ III ჟურნალ „ჯეჯილისა" შემდეგის შინაარსით: 1) [illegible] (ლექსი)—ალ. აბაშელისა, 2) [illegible] (ლექსი)—კილოსა, 3) [illegible] (ლექსი)—ა. აბაშელისა, 4) [illegible] გლეხი და ცხვარი, იგავი—აკაკისა, 5) კალამი და საწერელი (რუსულიდან)—ბეს. ვაშაძესი, 6) გამარჯვებული, მაიმუნი (გადმოღებული) 7) მელიას თავ-გადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნათაძისა, 8) ხალხური—აკაკისა, 9) ლედი ჯენ,მოთხრობა, (გაგრძელება)—ელ. წერეთლისა, 10) ნუმა პომპილი (ლეგენდა) ორჯეშკოსი—ან. წერეთლისა, 11) ციდან ჩამოვარდნილი ქვები (ფრანგულიდან)—ვინისა, 12) კვიპაროსი (ოვიდიუსიდან)—ა. ყუმისთაველისა, 13) ვინ შემოიტანა ქრისტიანობა და ან ვინ გაავრცელა იგი საქართველოში—ილია რუხაძისა, 14) წვრილმანი: საჩუქარის მისაღები კითხვა, ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი, ახსნა და განცხადება.

✦ აქაური განყოფილება ბრმათა სამზრუნველოს საბჭოის გვაცნობებს, რომ 1 თებერვალს 1902 წ. განყოფილების კასაში ყოფილა 10,518 მან. 59 კაპ. თებერვალში შემოსულიათ 6,673 მან. 40 კაპ. სულ 17,191 მან. 99 კაპ. აქედგან თებერვალშივე დაუხარჯავთ 1501 მან. 60 კაპ. დარჩა 1 მარტისათვის 15690 მან. 39 კაპ. ამ თანხიდგან შენახულა სახელმწიფო ბანკის აქაურ განყოფილების კასაში 436 მან. 31 კაპ., 2) კომერციულს ბანკში მიმდინარე ანგარიშზე 9420 მან. 84 კაპ., 3) ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში 5,833 მან. 24 კაპ.—4) ნაღდად განყოფილების კასაში 15690 მან. 39 კაპ., განყოფილების ბრმათა სამკურნალოში 1902 წ. თებერვალში იყვნენ ახალი ავადმყოფნი 475 კაცი, წინად მოსულ ავადმყოფებიან ერთად სამკურნალოში იყვნენ 3,531 ჯერ: თებერვალშივე მათ გაუკეთეს 60 ოპერაცია; მათგან 26 ავადმყოფი სამკურნალოშივე იყვნენ და 34 შინიდგან მოდიოდნენ.

✦ ნამდვილ კახური ღვინის ერთი მოყვარულთაგანი გვწერს: ამას წინად ქალაქს ფოთში გახლდით, სასტუმრო «ვენეციაში», მოვითხოვე კახეთის პირველი ნომერი თეთრი ღვინო და მომიტანეს კიდეც. მაგრამ შემაფიქრა ბოთლის შეხედულობამ. ჯერ ბოთლი არ ჰგავდა „კახეთის" ფირმის ბოთლს, რადგან კვარცისებური მოგრძო ბოთლი იყო და სწორი; ვსთქვი, ეს არაფერია მეთქი, ბოთლს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ახლა გავშინჯე იარლიკი და ბანდეროლი. ერთიც და მეორეც ნამდვილ კახეთის ფირმისა იყო. მსახურს ბოთლი გავახსნევინე, გავშინჯე გემო, მაგრამ ვერაფერი ვერ შევნიშნე იმას ღვინის გემოსი. ის უნდა ყოფილიყო უთუოდ დასაყილი დარიჩინი და ყვითელი კოჭა, გახსნილი წყალში. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, თორემ ეს სიყალბე სრულებით სახელს გაუტეხს ამ სახელოვან ფირმას ფოთში. უეჭველია ეტოდინება, როგორც მეითხველს, აგრეთვე „კახეთის" საზოგადოებას, რომ ქართველებში ბევრი არ ჰქონია არც ერთს ამხანაგობას. გაზეთებში ხშირად სწერია, რა საშწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნილა ესა თუ ის ამხანაგობა ანუ საზოგადოება. ეხლა დაგვრჩენია, სხვათა შორის, ეს ერთად-ერთი საზოგადოება „კახეთი", რომელიც კარგად აწარმოებს თავისს საქმეებს, მაგრამ ზოგგან-კი, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ამნაირად სამარეს უთხრიან სიყალბით. საჭიროა მმართველნი „კახეთისა" ყურადღებას მიაქცევდნენ ამ არა-სასიამოვნო გარემოებას.

—

## იმერეთის ამბები:

—

✦ „კავკაზში" ვკითხულობთ: ბათომიდგან მოვიდა ამბავი, რომ მარტის 4-ს როტშილდის ქარხნის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა, რადგან არ შეასრულეს მათი ყოველგვარ კანონიერ საფუძველს მოკლებულნი მოთხოვნილებანი. ქარხანა როტშილდისა დაიხურა.

შემდეგ, მარტის 8-ს, ამ ქარხნის მუშათა ბრბომ, დაახლოვებით სამას კაცამდე, თავი მოიყარა ბათომის პოლიციის სამმართველოსთან და მოითხოვა გაენთავისუფლებინათ წინა დღით დაპატიმრებულნი მოთავენი ქარხანაში მუშაობის შეწყვეტისა. მთავრობამ ურჩია მათ დაშლილიყვნენ, მაგრამ მუშებმა უარი სთქვეს, რის გამოც ისინიც საპატიმროში გაგზავნეს.

მეორე დღეს, მარტის 9-ს, ქუჩაში შეკრებილმა ბრბომ სცადა გაენთავისუფლებინა საპატიმროში მყოფი მუშები, არ ათხოვა ყური დარიგებას, ეცა ბათომის გარნიზონის სალდათების როტას, რომელიც იქ იყო დაყენებული მოსალოდნელ უწესოებათა ასაცილებლად. ბრბომ დაუშინა როტას ქვები და ესროლა რევოლვერებიც. როტა იძულებული იყო თავისს მხრივაც ესროლა ბრბოსათვის.

სალდათთაგან დაჭრილ იქმნა ერთი, ხალხიდგან მოჰკლეს ცამეტი.

✦ ქუთაისის გუბერნიის მმართველმა ოფიციალურად შეატყობინა კავკასიის მთავარმმართებელს, რომ მარტის 7-ს, ხუთშაბათს დილით, დ. ონში და სოფელს სომიწოში ინძრა მიწა, რამაც ბევრი სახლი დააზიანა ს. სომიწოში. მიწის ძვრას ადამიანი არ უმსხვერპლია.

✦ ფოთში, ამ ზამთარს, მრავლად იწყეს ახალის შენობების აგება: ხის შენობებს გარდა, აშენებენ ქვითკირის და აგურის სახლებს. ქვა აქეთ ერთობ ძვირია, საჟენი 25 მან. ფასობს; ეს რასაკვირველია დიდი ფასია, მაგრამ რადგანაც აქეთ ქვა სულ არ მოიპოვება, ამიტომ მცხოვრებნი მაინც ამ დიდს სიძვირეს იტანენ და სახლებს მაინც ქვითკირისას ამჯობინებენ, რაც მათ ერთი ორად ძვირათაც უჯდებათ.

✦ 2 მარტს ფოთში კარგა დიდი თოვლი მოვიდა.

✦ ფოთის ზოგიერთი ახალგაზრდები მეცადინეობენ, რომ ნაადდგომევს, ანუ პირველ მაისობას ფოთში ქართული წარმოდგენა გამართონ. წარმოდგენა დანიშნული იქმნება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ ფოთის ქალაქის სამკითხველოში კითხვისათვის ფულის გადახდევინება გააუქმეს.

✦ სოჭიდგან სწერენ «Русскія Вѣдомости"-ს: „ამ ბოლოს დროს მიწის ფასები სოჭსა და მისს მიდამოებში საოცრად გაძვირდა... თვით სოჭში ოთხ-კუთხი საჟენი მიწისა ისყიდება 10—25 მანეთამდე, მიდამოებში-კი, ესრედ წოდებული დასამუშავებელი ნაჭრები დესეტინა 15—20 და 30 მანეთამდე ისყიდება. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ვისაც ამ მიწების სავენახეთა და საბაღეთ გამოყენება უნდა, ჯერ დიდი შრომა უნდა გასწიოს და ბევრი ფულიც დახარჯოს. მყიდველები არიან უმთავრესად პეტერბურგისა, მოსკოვისა, ოდესისა და სხვ. კაპიტალისტურ ცენტრების მდიდრები. ნაყიდს მიწებზე აშენებენ აგარაკებს და ბაღებს. საქმეს ისე გამოუცდელად უძღვებიან, რომ მთის ფერდობებზე აგებულ სახლებს ნიაღვრები მიწიანად სთხრის და მიაქვს; ბაღები აქამდე ნაყოფს არ იძლევიან და,თუ იძლევიან, ერთობ მცირეს. აქაურს ბაზრებში-კი ისყიდება თითქმის ბათომიდგან მოტანილი ხილი".

## შეცდომის გასწორება:

„ივერიის" № 50-ში ქუთაისიდან მოწერილს კორესპონდენციაში სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა არჩევნების შესახებ შეცდომა მოგვსვლია. დაბეჭდილია, რომ მესამე ხარისხოვან ამომრჩეველთა შორის (ლოლუას თავმჯდომარეობით) «სულ ოპოზიციიდგან გათეთრდნენო». უნდა-კი იყოს „პოზიციიდგან", ე. ი. ბანკის ახლანდელ გამგეობის ანუ კალისტრატეს ყოფილის დასის მომხრეთაგანნი. მართლაც, მესამე რიგის ამომრჩევლებში, სამიოდ-ოთხიოდეს გარდა, სულ ოპოზიციის მოწინააღმდეგენი გათეთრდნენ.

ბ-ნის ტფილისელის წერილში „სოფელი და სოფლელნი», № 51, სვეტი მესამე, სტრიქონი 44—45 დაბეჭდილია: «იმ განაწილებულთა»; უნდა იყოს—„იმ განათლებულთა"; იმავე წერილში, № 52, მეორე სვეტი, მე-10 სტრიქონი ქვეიდან, დაბეჭდილია: «გზის პირიაო», უნდა იყოს—„მზის პირიაო",

# დაბა და სოფელი

—

**რაჭა,** (10 თებერვალი). ფრიად საყურადღებო ავადმყოფობა ვრცელდება რაჭის მაზრაში და ჯეროვანის ყურადღების მიქცევა-კი მისა ჯერ-ჯერობით არავის აღმოუჩენია. სანამ ერთი-ორი შემთხვევა ხდება, მანამ უნდა გზის ჩაჭრება... [illegible] გვიან-ღა იქნება. სოფ. შარდომეთში რადგან უცნაურმა ავადმყოფობამ მოულოდნელად იჩინა თავი და უცბად გაანადგურა ერთის შესანიშნავის აზნაურის ქაიხოსრო ამირეჯიბის ოჯახი. ერთი-მეორეზე გასწყდნენ ერთს ოჯახში ხუთი სული: დედა ოჯახისა და ნამდვილი დედა, მისი უფროსი ვაჟი და სამიც ქალი. ეს წყეული და უკურნებელი სენი ედება ადამიანს პირველში ამ ნაირად: ვისაც ჩაუდგება ტანში, ჯერ წელი ასტკივდება, სიცხეს აძლევს, ერთს ძალიან გაატეხებს; სამის დღის შემდეგ სორცის ფრად გამოჭყერის ტანზე, აფადარათებს, ყვავა აქვს ხშირი და სისხლნარევი; რამოდენისამე დღის შემდეგ ავადმყოფს უჩნდება საშინელი ახთება, იწვის ერთთავად და განუწყვეტელი პირღებინება აქვს და ათის დღის განმავლობაში ასაღმებს წუთი-სოფელს. ექიმის ცდა უქმად რჩება.

ამ ნაირისავე სენით სოფ. წესში გლეხის მოჯალაბისას გარდაიცვალა ორი. სოფ. ჭელიშ-დედეში იგივე სენი, დიდი ხანია მძვინვარებს, როგორც სარწმუნოდ ვიცი, ბევრიც გამოასალმა წუთი-სოფელს. აქ სენი ჩნდება და გადა-გადმოდის იმნაირადვე, რა ნაირადაც ზევით მოვიხსენიე, მხოლოდ ერთის განსხვავებით: ძუძუს თავზე უჩნდება ერთი მომსხო მუწუკი; ვისაც ბედი გაუღიმებს და უპრიანებს და მუწუკი დაუჩირქდება და დაიწურება, სიკვდილს რჩება და რდოლდით-კი დიდხანს რდოლავს, ვისაც დაუმწიფებლად, შავად ჩაუშტება და შიგნით გაუბრუნდება, ის ანაზდათ ესალმება კერას და წუთი-სოფელს.

მე განცვიფრებული შევსცქერი ამ მოვლენას და ვგვირობ, რომ მაზრის და ამბროლაურის სააკადმყოფოს ექიმებმა არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება და არ გამოიკვლიეს, თუ რა უბედური და უკურნებელი რამ სენი არის ეს სენი.

თუ თვით ვერ შესძლეს მისი გამოკვლევა და რაიმე ღონისძიებათა მიღება, რომ სხვებს აღარ გადაედოს, უნდა ეცნობებიათ მაინც, სადაც რიგია, რომ შეერთებულის ძალით შეებრძოლებოდნენ ამ ხალხის გამანადგურებელს სენს და ჭირს...

რამდენადაც გაზეთის საშუალებით ვატყობ ამ მოულოდნელ სენის ნიშნები, ნამდვილი სიკვდილია, ან იმაზე უარესი ღვთის რისხვა და რა დასაყოვნებელია ღონისძიებათა მიღება, შეგვიწყალე! ისე დაასაფლავეს ხუთთავე გვამი ამირეჯიბებისა, რომ ადგილობრივ წესიერების მეთვალყურეთ ყურიც არ გაუბერტყიათ მათის ჭირის-უფლებისა და სახლკარობის შეწევნის აღმოსაჩენად—ერთის თავგამოჩენებულის მოჯამაგირის ამარად მოექცნენ უბედურნი შავ მიწის ქვეშ და გამოესალმნენ ქვეყნიერების სინათლეს.

ჩემის აზრით, ამ ნაირს შემთხვევაში ადგილობ-



# ფელეტონი

## ერეკლე მეფე და მისი დროება ¹)

### III

1735 წ. მეტად მნიშვნელოვანი [illegible] თვის ჩათრევას ჩაყოლა სჯობია, ამიტომ რუსეთი ოსტატურად მოიქცა ვითომ: 1735 წ. მარტის 10 მოურიგდა შაჰნადირსა განჯაში (რუსეთის მხრივ გოლიცინი იყო დესპანად) და დაუთმო სახანოები—დერბენტისა, ყუბისა, ბაქოსი, შემახისა, ლენქორანისა და სხ. ამ მორიგებით დამტკიცდა და ძალაში დარჩა რეშტის ტრაქტატიც, 21 იანვარს 1732 წ. დადგენილი. ამისთანა მსხვერპლი იმიტომ დასთმო რუსეთმა, რომ გულით ეწადა ოსმალეთის განადგურება შაჰნადირის ხელით, რაკი ეშინოდა—ოსმალებმა გურგენის ზღვის ნაპირზედაც ფეხი არ მოიკიდონო,³) როგორც შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზედ (ყირიმი). მაგრამ რუსეთი სრულებით მოტყუებული დარჩა: შაჰნადირმა ისრეთი მშვენიერი ტრაქტატი დაადგინა არზრუმში 1736 წ. იანვარში, რომელმაც სპარსეთს უძლიერეს სახელმწიფოს სახელი მოუპოვა ყველგან, და ისე მოხერხებით მოიქცა, რომ რუსეთი იძულებული გახდა 12 აპრილს 1736 წ. ომი გამოეცხადებინა ოსმალეთისათვის ⁴).

აი, ესრეთ ძლევა-მოსილი და გალაღებული შაჰნადირი შემოვიდა ტფილისში ღვინობისთვის 6, დაჰყო აქ 17 დღე და შემდეგ გაეშურა შირვანისაკენ და ქ. შემახა მიწასთან გაასწორა, აჯანყებულნი დაღისტნის მკვიდრნი დაამშვიდა და თავის მისანდო კაცნი დააყენა. გზად მიმავალმა კახეთი თეიმურაზის გამო აიოხრა, გაუსია თარეშები აქეთ-იქით, მაგრამ ხალხი გაიხიზნა მთაში. შემდეგ ჩავიდა მუღანლოს მინდორში და თებერვლის 26 სპარსეთის მბრძანებლად გამოაცხადა თავისი თავი და გვირგვინი დაიდგა. ტფილისში ყოფნის დროს შაჰნადირმა ქართლის მეფედ დაამკვიდრა ალექსანდრე მეფის კონსტანტინეს ძე (ალი ხანი, ანუ ალი მირზა, ძმისწული თეიმურაზისა), მაგრამ მეთვალყურედ და სპარსეთის ინტერესების დამცველად სეფი ხანი დაუყენა ტფილისში. ამ დროს ქართლის წარჩინებულნი თავადნი გამდგარნი იყვნენ ⁵) და მათი შეპყრობა ჰქონდა დავალებული ალექსანდრე მეფესა და სეფი ხანს. ამის გამო მალე ჩამოვარდა მათ შორის შუღლი. ალექსანდრე გაერიდა კახეთში და დაიწყო მეფური გამგეობა. სეფი ხანი-კი აბდულ-ბეგის დახმარებით ქართლს აოხრებდა და ცდილობდა მოწინაალმდეგეთა შეპყრობასა. ძალით რომ ვერა გააწყო-რა, ღალატს მიმართა. მოიტყუა სოფელ ხელთუბანში, მდივნის თუმანიშვილის სახლში—თეიმურაზი, გივი ამილახვარი, ქიზიყის მოურავი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, გივი ჩოლაყაშვილი, ლუარსაბ თარხნიშვილი, ბარამ არაგვის ერისთავი, ქაიხოსრო ჩერქეზიშვილი, და სხ. ⁶) და ყარაულ ქვეშ ისპაანში შაჰნადირთან გაგზავნა. აი, ამისთანა გაჭირვების დროს ალექსანდრე მეფე გვერდიდგან არ იშორებდა პატარა ერეკლე ბატონიშვილსა და მისის თანადასწრებით განაგებდა ყოველსავე საქვეყნო საქმეებსა. სეფი ხანის მოხსენებით ამ დროსვე ქართლის მეფობა აბდულა ბეგს (არჩილი, ძე მეფის იესესი) უბოძა შაჰნადირმა და კახეთისა ალი მირზას (ალექსანდრეს), რაკი ძნელი იყო მათთან ბრძოლა. ალექსანდრე მეფესაც ეს უნდოდა ⁷). ამ დროის სამართლის განაჩენი მოგვყავს უმეტ-ნაკლებოდ: № 1. „ქ. ბებურისშვილი: ასლან: ჲ: ონანას: შვილი ფარსადან: ცოტას: საქმეზედ: წაკიდებული იყვნენ: ჲ: ერთმან: ერთი: დაეჭრათ: მაგრამ: ბებურის: შვილი: ასლან: უფრო: დაჭრილი: იყო: და: ასლან: შინ: მიკდომილი: იყო: ონანასშვილისა: ახლა: მოვიდნენ: და: ილაპარაკეს: ჩვენ: მეფემ: ალექსანდრემ: და ბატონის: შვილმა: ერეკლემ: და: დარბაისელთ: ეფისკოპოზებთან: ეს: ერთმან: ერთის: დაჭრილობა: და: შინ: მიკდომა: გავშინჯეთ:რადგან:ასლან: ძალიან: დაჭრილი: იყო: ჲ: ნათესავნი:იყვნენ: ერთმან: ერთისა: სისხლი: მისთვის: შეუმსუბუქეთ: ჲ: ოთხი: კომლი: კაცი: გაუჩინეთ: ასლან: ბებურის: შვილსა: ამ: ოთხს: კომლს: კაცში: ორი: კომლი: იმის: დაჭრილობაში: ჲ: შინ: მიკდომისათვის: ჩაურთვინეთ: ჲ: ერთი: კომლი: ბატონმა ჲ: დარბაისელთ: ვიპატივეთ: ჲ: ერთი კომლი: კაცი: თავისის: მამულით: ასლანს: მიეცით: ჲ: დღეის: იქით: ერთმან:ერთთან: ძმობისა: ჲ: მოყრობის: მეტი სადავო: ჲ სალაპარაკო: აღარა აქვთრა: დაიწერა: იანვრის: კა: ქორონიკონს უკე: (1737 წ.) ის: ერთი: კომლი: ასეთი: მიეცით: რომ: არც: კარგი: იყოს: ჲ: არც მდარე | ¹ირ მოდგამ დავითიანი ალექსანდრე ვარ სვ ანი. | ბატონიშვილი ერეკლე. | ღვთის მოწყალებით მეფის ყმობით ე ისელთ მოურავი დავით. | . . . . | . . . | . . . . | შემდეგ მეფე ალექსანდრემ მოიწადინა კახეთის განთავისუფლება სპარსთა ბატონობისაგან აბელ მოურავის (ანდრონიკაშვილი) ჩაგონებით და დედოფალს თამარსაც გაანდო ესე საიდუმლო. ყველაფერი მზათ იყო, მაგრამ თამარი არ დათანხმდა, რა-კი თეიმურაზი და სხ. ყანდაარში იყვნენ ტყვედ, უბრძანა ქიზიყელთა და თუშთა—არამც და არამც ეგ საქმე არა ჰქმნათო ⁸).

### IV.

მუღანლოს მინდორში რომ შაჰნადირმა დიდის ამბითა და ზეიმით თავისი თავი სპარსეთის ყეენად გამოაცხადა, მალე გაეშურა ისპაანისაკენ და იწყო თავდარიგი ყანდაარისაკენ სალაშქროდ, რადგან ავღანელები არა სცხრებოდნენ და სპარსეთის მხარეს იკლებდნენ-აოხრებდნენ, როგორც საქართველოს მოუსვენარი დაღისტნელნი და ჭარ-ბელაქნელნი. ამ უკანასკნელთ რომ ოსმალეთი და სხ. ასისინებდნენ მუდამ საქართველოს ასაკლებად, ავღანელებს კიდევ ინდოეთის მბრძანებელი მოგოლი მაჰმად-შაჰი აქეზებდა სპარსეთის სამტროდ და ყოველთვის ზურგს უმაგრებდა ჯარით, ფულით და სურსათით.

ამის გამო სეფი ხანისაგან ტყვეთ გაგზავნილს ქართველებს თეიმურაზს⁹), გივს ამილახვარს და სხ. შაჰნადირმა დიდათ წყალობის თვალით შეხედა და ყანდაარისაკენ მიმავალმა დიდის ლაშქრით თან წაიყვანა ყველა ქართველნი: მარტო გივს ამილახვარს სამასი დარაზმული ვაჟკაცი ახლდა ქართლიდამ, აგრეთვე სხვებს. სულ ათასი მხედარი შედგა და მათი სპასალარობა გივს ამილახვარს ჩააბარა. გზაში თეიმურაზი უქეიფოდ შეიქნა. ამიტომ შაჰნადირმა უბრძანა თეიმურაზს, მისწერე შენს შვილს ერეკლეს და დაიბარე წამოიყვანოს შენი ქალი ქეთევანი—მოვიდეს აქ ჩვენს სამსახურში და შენ დაგითხოვთო. შაჰნადირმა თითონაც მოსწერა. თეიმურაზს მეტი რა გზა ჰქონდა, თვალ-ცრემლიანმა მოსწერა ერეკლეს: № 2. «სასურველო ძეო ჩემო!.. სადაცა ბოროტი შეგვემთხვევის, იქ სიკეთეცა მოგველის. მეცა იძულებითა მოგიწერ ესრეთ, რომე შაჰსა ჰსურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა ჲ რათა თანა წარმოიყვანო ასულიცა ჩემი ჲ დაჲ შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლაჲ შენი აქა, სპარსეთად, მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა".

მეფე თეიმურაზ ¹⁰).

ამ ამბავმა დიდად დაალონა სამეფო სახლი და კახეთი. კახელთ მისცეს პირი-პირს და შორს დაიჭირეს ერეკლეს წასლვა სპარსეთში—როგორც შაჰაბაზი მოექცა თეიმურაზს, მის შვილებს და დედასა, წმ. ქეთევანსა, შაჰნადირიც ასე აპირობსო. ჩვენ თავს დავდებთ მსხვერპლად და ერეკლეს წასლვა არა გზით არ იქნებაო. მაგრამ ახალ გაზდა ერეკლემ რიხიანად უპასუხა თავის ერთგულ კახელებსა, არა მიმხედველმან პატივსა და დიდებასა ამის სოფლისასა და მორჩილმან ჰსჯულსა უფლისასა პატივ ჰსცემდე მამასა და დედასაო იქმნეო—„მამა ჩემი იქ უნდა ჰყვანდესთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტევებდენ და მე ამაზედ დავბრკოლდე და არ წარვიდე—ეს ჩემგან შეუძლო არსო" ¹¹). რაღა იქნებოდა, შეიქმნა მზადება წასასვლელად, გაიფიცნენ საუკეთესო ვაჟკაცნი—„ჩვენს ბატონიშვილს თან უნდა ვახლოთო".

„წელსა 1737 წ. წარვიდა ერეკლე თებე-

¹) იხ. „ივერია" № 21—1902 წ.

[illegible]

³) იხ. ბუტკოვი I, 106 და 130 გვ.

⁴) იხ. იქვე 135 გვ.

⁵) შაჰნადირი რომ დიდის ჯარით მიადგა დაღისტანს, ჯარის, საქონლის საზრდო შემოაკლდა და ქართლს შეაწერა რამდენიმე ათი-ათასი თუმანი ფული, კოდი პური, ქერი და სხ.

⁶) იხ. ქ.—ცხ. 341 გვ.

⁷) ამ დროს საინტერესო წერილი იხ. ჟორდანიას ქრონიკესი, II, 432—433 გვ.

⁸) ალექსანდრე მეფე შაჰნადირთან წავიდა სპარსთა მძლავრებისა გამო და 1737 წ. დეკემბერში ყანდაარში.

⁹) თეიმურაზს იახლნენ ქართლიდგან თავის ნებით: ეპისკოპოსი ზოსიმე ხარჭაშნელი, პაატა, ნათანაელი, სულხან, პაატა ტუსიშვილი, სოლომონ გურგენიძე და სხ.

¹⁰) იხ. ეს წერილი „ცისკარში" 1859 წ. X, 156 გვ. შეცვლილი, ვგონებ ნათარგმნია რუსულიდგან. ამისთანა გაჭირვებაში მყოფი თეიმურაზ მეფე გულზედ მოწოლილ ბოღმასა და სიმწარეს იქარვებდა მხურვალე ლოცვით და დანარჩენ დროს ლექსთა წერაში ატარებდა. მეტად საინტერესოა ამ დროის ლექსები თეიმურაზისა და ამიტომ თავ-თავის ადგილს მოვიყვანთ შეუცვლელად როგორც უტყუარს ისტორიულ მასალასა.

¹¹) იხ. ქ—ცხ. 477 გვ.

რივი ადმინისტრაცია და ექიმები ვალდებულნი არიან უყველივე ღონისძიება მიიღონ. მეც ვიცი, რომ ორი ექიმი 80 ათასს სულს ვერ გასწვდება. მაგრამ რამე ღონე უნდა იღონონ. განონიერის ღონისძიების აღმოჩენა ხომ უყველთვის შეუძლიანთ; ეს ყველამ იცის, მაგრამ ვინ გვაკვს პატრონი. ვინ იცის, კიდევ რამდენი კერა აკტირდება ამ უღმობელ სენით, თუ რომ სათავეშივე არ ეცდებიან მისს მოსპობას, ქვა და კედე სდუღს ამირეჯიბის კუთილ ოჯახის დაღუპვისა გამო და ნორჩების ასე ანაზდად გათვრენისათვის. ვწუხვართ ყველანი, გულსა გვქენჯნის მათდამი სიბრალული, მაგრამ რა ვიღონოთ, მის მეტი რომ თავს მოვუაროთ ყველამ.

აწ მაინც უნდა მიიღონ მკაცრი ღონისძიებანი ადგილობრივმა ექიმებმა და წესიერების დამცველებმა, რომ რაჭის მაზრა არ დაიღუპოს. ვსთხოთ „კავკაზისა“ და „ახალ მიმოხილვის“ რედაქტორთ ეს ცნობა თავის პატივცემულს გაზეთებში გადაბეჭდონ საყურადღებოდ მთავრობისა, რომ დაუყოვნებელი საშუალება იქნას მიღებული, თორემ უამისოდ რაჭის მაზრას დაღუპვა არ ასცდება და, მერე გვიანღა იქნება გაძლიერებულ ცეცხლის ჩაქრობა.

ი. მინდელი.

# ნ ა რ კ ვ ე ვ ი.

გაზეთი „გრაჟდანინი“ ძალიან განრისხებულია მ. გორკის საპატიო აკადემიკოსად არჩევის გამო:

„როდესაც დღეს, ამბობს მეშჩერსკი, წავიკითხე გაზეთებში ამბავი, რომ მაქსიმ გორკი აურჩევიათ საპატიო აკადემიკოსად, ე. ი. რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრად, თვალთ დამიბნელდა... მეგონა, სიზმარში ვკითხულობ და მეჩვენება-მეთქი... შემეშინდა ჩემის სიზმრისა... ამ დროს შემოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი, მეტის-მეტად აღელვებული და მითხრა: წაიკითხეთ? მაქსიმ გორკის აკადემიკოსად არჩევა გაუბედნიათ! მაშ ეს სიზმარი არ არის, გავიფიქრე, ხაშინებლის გულის ტკივილით: ეს ფაქტია...

სამეცნიერო აკადემიამ წინააღმდეგობა გაუწია მთელს პუშკინის და კარამზინის განათლებულს რუსეთს, მთელს უქვეშევრდომილესს რუსეთს,—ეს ისტორიული ფაქტია! ნიჭთა დაცინვა, 200 წლის აკადემიის გალანძღვა—ეს მართალია! ღმერთო მართალო! წამოიძახა ჩემმა ნაცნობმა,—საით მივდივართ? მაქსიმ გორკი—აკადემიის საპატიო წევრია!

მე გავიცინე. ეს გოგოლის პატივსაცემლად თუ მოხდა. გოგოლის „უნტერ-ოფიცრის ცოლმა“ თვითონ გაროზგა თავისი თავი, აკადემიის წევრებმა-კი თვითონ დასცინეს თავისს თავს...

ყოჩაღ! თვით რესპუბლიკის საფრანგეთს გაუსწრეს წინ!

# რ უ ს ე თ ი

ყაზანისა და სარატოვის გუბერნიიდგან იწერებიან, რომ მოუსავლობისა და სიმშილისა გამო თან და თან უფრო ვრცელდება სურავანდით და სახადით ავადმყოფობა.

— ოდესის საგრადონაჩალნიკოს „უწყებებში“ გამოქვეყნებულია, რომ 23 თებერვალს მომხდარ არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის დაპატიმრებულ იქმნენ 32 კაცი სამის თვით, 15 კაცი—ორის თვით, 7—ერთის თვით. დაპატიმრებულთა რიცხვში დიდი უმრავლესობა მუშები და ხელოსნებია.

— პეტერბურგში დაარსდა მთარგმნელ ქალთა პირველი არტელი.

— როგორც მკითხველები გაიგებდნენ დღევანდელის დეპეშიდგან, მაქსიმ გორკის საპატიო აკადემიკოსად არჩევა გაუქმებულ იქნა, რადგან მის შესახებ გამოძიებაა დანიშნული „სასჯელთა დებულების“ მე-1035 მუხლის ძალით. ამ მუხლში სწერია შემდეგი: „ვინც დაჰბეჭდავს შეურაცხმყოფელ წერილებს იმპერიაში არსებულ კანონების შესახებ, ან-და სამთავრობო თუ სამოსამართლო დადგენილებათა და განკარგულებათა შესახებ, აგრეთვე ვინც ნებას მისცემს თავისს თავს დასწეროს რაიმე კანონების სავალდებულო ძალის წინააღმდეგ და მოიწონებს და გაამართლებს კანონის მიერ აღკრძალულს საქციელს, რათა გამოიწვიოს უპატივცემულობა კანონებისადმი, იგი სატუსაღოში ჩამწყვდეულ იქმნება (заключеніе въ гюрьму) 2 თვ.—1 წ. 4 თ. ან დაპატიმრებულ იქმნება (арестъ) 4 დღ.—3 თვ., ან დაჯარიმებული 500 მანეთამდის.

შენიშვნა: არავის ჩაეთვლება დანაშაულობა, და არავინ დაისჯება, თუ იგი განიხილავს, როგორც ცალკე კანონებს ისე მთელს კანონმდებლობას, აგრეთვე განკარგულებათ, თუ ამასთან მისი ნაწერი არ იწვევს კანონების წინააღმდეგობას, არ უარ-ჰყოფს მათს სავალდებულო ძალას და არ შეურაცხჰყოფს მთავრობას.

# უცხოეთი

**ინგლისი.** გენერალ მეტუენის განთავისუფლებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ყველანი იმას ამბობენ და სწერენ ეხლა ინგლისში, როგორ უნდა გადაუხადოთ მადლობა დელარეის ასეთის რაინდულის საქციელისათვისაო. „როდესაც,—სწერს Daily Mail“-ი, ასეთ გარემოებაში მტერი ტყვეს ანთავისუფლებს, ზრდილობა და კაცობა თხოულობს მეორე მხარეც ასევე მოიქცეს და გაანთავისუფლოს ისეთი აფიცერი, რომელიც ხარისხით განთავისუფლებულს შეედრება. მოსალოდნელია, რომ ბურებს გენერალ კრონიეს, ან გენერალ ვილიონს დაუბრუნებენო“. ამავე აზრისაა „Daily Graphic“. „ნება არ უნდა მივცეთ ჩვენს თავს,—სწერს იგი—რომ ბურებმა კაცობითა და დიდ-სულოვნობით გვაჯობონ“. თითქმის ამასვე სწერენ ლიბერალური „Daily News“-ი და კონსერვატიული „Standard“-ი. ბევრი გაზეთი ურჩევს მთავრობას გაუქმოს ის პროკლამაცია, რომლის ძალითაც ბურთა წინამძღოლნი სამხრეთ აფრიკიდგან უნდა იქმნენ განდევნილნი. ასე სწერენ გაზეთები, მაგრამ მთავრობა დღემდე არაფერსა ფიქრობს. წარსულ პარასკევს დეპუტატი ჰილი შეეკითხა მთავრობას, მართალია თუ არა გაზეთებში მოხსენებული ამბავი, რომ ინგლისის ჯარმა დელარეის ფერმა გადასწვაო და საყვედური გამოუცხადა თუ არა მთავრობამ იმ აფიცერს, რომელმაც ეს საქმე ჩაიდინაო. სამხედრო მინისტრმა მიუგო, რომ დელარეის ფერმის დაწვის შესახებ არავითარი ცნობა არ მიგვიღიაო.—წარსულ კვირას ირლანდიელ დეპუტატთა მეთაურმა ჯონ რედმონდმა ბოლტონში დიდი სიტყვა წარმოსთქვა. არასოდეს არ გადაუხვევთ ჩვენ „მოთხოვნილებებსაო, სთქვა რედმონდმა. ჩვენ ეხლაც იმასვე ვთხოულობთ, რასაც პარნელის დროს ვთხოულობდით. ირლანდიელნი ერთობით არიან გამსჭვალულნი, ყველამ კარგად იცის, რას თხოულობს ირლანდია ინგლისისაგანაო.“

ირლანდიელნი არასოდეს ისე ძლიერნი არა ყოფილან, როგორც ეხლა. ერთობა მათ შორის დღეს სამაგალითოა. უკანასკნელ ხუთის წლის განმავლობაში ეროვნულმა მოძრაობამ საოცარი ნაყოფი მოიტანა. ირლანდიაში ეხლა ორი ორგანიზაცია მოქმედებს, რომელნიც იცავენ და აძლიერებენ ეროვნულ ტრადიციებს, ენას. პირველია ორგანიზაცია—„Uniter Irich Leagne“-ა, ხოლო მეორე „Gaelic League“.

**სამხრეთი აფრიკა.** „Journal“-ში დაბეჭდილია ფილოსოფოსის მაქს ნორდაუს აზრი სამხრეთ-აფრიკის შესახებ და ინგლისის პუბლიცისტის სტელის წერილი ამავე საგანზედ. ნორდაუ ამბობს, რომ 50 წლის შემდეგ ტრანსვაალის მიწებში ოქრო გამოილევა, ბურები და ინგლისელები შეურიგდებიან, ერთმანეთს და მშვიდობიანად იცხოვრებენო. სულ სხვას წინასწარმეტყველებს სტელი. „დიდი ბედნიერება იქმნება, ამბობს იგი, თუ 50 წლის შემდეგ ინგლისს კაპის ახალშენში ქვა-ნახშირისათვის პატარა სადგური შერჩებაო. ინგლისმა 2 მილიარდი მანეთი დახარჯა და ამ ფულით სამხრეთ-აფრიკაში მხოლოდ სამარე გაუთხარა თავისს ჯარის-კაცებს. მომავალი უიტლენდერებისა, კოსმოპოლიტებისა და ჰოლანდიელებისა იქმნება, რომელნიც შეჰქმნიან სრულიად დამოუკიდებელ „სამხრეთ-აფრიკის შეერთებულ შტატებს.“ მილნერსა და ჩემბერლენს რომ ეს ომი ძალად არ გამოეწვიათ, ორივე ერი, ჰოლანდიელნი და ინგლისელნი, შეერთდებოდნენ და ინგლისის დროშის ქვეშ სამხრეთ-აფრიკაში ისეთივე რესპუბლიკა განვითარდებოდა, როგორც დღეს ავსტრალიააო.

— დღითი-დღე ირკვევა, რომ დევეტი ყოველს ღონისძიებას ხმარობს შეუერთდეს დელარეის; თუ ეს მოახდინა, როგორც ამბობს გაზეთი „Daily Graphic“, ინგლისის ერს დასჭირდებოდა ყოველივე ხელ-ახლად დაიწყოს სამხრეთ-აფრიკაშიო. ამისთანა „შემთხვევის თავიდან ასაცილებლად გამართეს მთელი რიგი ბლოკჰაუზებისა და გაძლიერებულ იქმნა რაზმები. ჯარი მიაშურეს ვოლვეგეკისაკენ, სადაც, როგორც ფიქრობენ ინგლისის მთავარს შტაბში, იმყოფებიან დევეტი და შტეინი. რადგანაც დელარეიმ ამ უკანასკნელს გამარჯვების მერე შეიძინა საკმაო ზარბაზნები და თოფები, გაზეთი „Daily Mail-ი“ შიშობს, რომ დელარეიმ არ გაარღვიოს ბლოკჰაუზები და დევეტს არ შეუერთდეს.

— ლონდონის გაზეთი „Daily News“-ში დაბეჭდილი წერილი კაპშტადტიდან დიდად აღელვებს მთელ ევროპის მწერლობას. კორრესპონდენტი ირწმუნება, რომ ახალშენები იმ წამსვე შეუერთდებიან ბურებს, როგორც კი სარდლები აცნობებენ, რომ ამის დრო უკვე დადგაო. „ბურებს იმდენი ხალხი ჰყავთ, რამდენის მოხმარებაც შეუძლიანთ ამ ხანად. ბოტა, დევეტი და დელარეი, როგორც წინად, მხოლოდ კაპელ ჰოლლანდიელთა პატარ-პატარა ჯგუფებს ღებულობენ. ახალშენებში მათ იმდენი მასალა მოეპოვებათ, რომ ომის განგრძობა რამდენსამე წელს შეუძლიანთ. კაპის ახალშენი დიდი ხანია აჯანყდა, მაგრამ იქ მცხოვრებთ თვით ბურები ამშვიდებენ დროებით და არა ინგლისელები.“

ამას წინად, როგორც „Nederland“-ის კორრესპონდენტი იტყობინება, ქალაქ კრადოკში (კაპის ახალშენში) შემდეგი განცხადება იყო გაკრული: ქალაქ კრადოკს მცხოვრებთ ვუბრძანებთ, რომ ხვალ დილით, 10 საათზე და 15 წამზე თავი მოიყარონ ბაზრის მოედანზე, რათა იოჰანკეტცის სახელმწიფო ღალატისათვის დასჯას დაესწრნენ. თერთმეტის ნახევრიდგან ყველა დუქნები უნდა დაიკეტოს იმ დრომდე, ვიდრე სასჯელი შესრულებული არ იქმნება“. ეს განცხადება, სახლების კედელზედ გაკრული, დაბეჭდილი იყო ისეთის ასოებით, როგორითაც პასპორტები ბეჭდავენ განცხადებას, როდესაც ხალხს ეკკლესიაში იწვევენ. „კრადოკელნი,—სწერს კორრესპონდენტი, საშინლად აღელვა ამ განცხადებამ. იმავე დღეს, რა დღესაც განცხადება გააკრეს, 300 ჰოლანდიელი ბურების რაზმებს შეუერთდა ინგლისელთა წინააღმდეგ საბრძოლველადაო.“

**საფრანგეთი.** სენატის იმ კომისიამ, რომელმაც განიხილა პალატის მიერ მიღებული კანონ-პროექტი მღვიმე-მადაროებში სამუშაო დღის შემცირების შესახებ, ამ დღეებში მიიღო დელეგაციები მადაროს მუშათა საერო ფედერაციისა და მთა-მადნის ამხანაგობათა მუშებისაგან. დელეგატები ამტკიცებდნენ კომისიაში, რომ სამუშაო საათების შემცირებას შედეგად წარმოების შემცირება არ მოსდევსო. პირ-იქით, მუშების აზრით, რაც ნაკლებია სამუშაო დრო, მით უფრო ნაყოფიერია მუშათა მუშაობაო.

— 5 მარტს პალატამ, უკიდურეს მემარცხენეთა პროტესტის მიუხედავად, დაადგინა დეპუტატები არჩეულ იქმნენ ოთხის წლით-კი არა, როგორც აქამდე იყო, ექვსის წლით.

**ავსტრ-უნგრეთი.** ბიუჯეტის დროს პალატამ რამდენიმე კრება მოანდომა ენების შესახებ კამათს. ენების გარდა გაზეთების ყურადღება მიიქცია დეპუტატის კლოფაჩის სიტყვამ. კლოფაჩმა განაცხადა, რომ ჯარში დიდი უსამართლობაა, აფიცრები მეტად უდიერად ეპყრობიან ჯარის-კაცებსაო. დეპუტატმა დანელიაკმა სთქვა, ჯარში იმდენად ცუდი დამოკიდებულებაა, რომ ყოველ წელიწადს აუარებელი ჯარის-კაცი იკლავს თავსაო. მარტო ერთ სამხედრო ოლქში, ამ დეპუტატის სიტყვით, 1901 წლის განმავლობაში 80 ჯარის-კაცმა მოიკლა თავი, 80 კაცმა თავი დაისახიჩრა (თავის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს), 40 კაცი ჰკუაზედ შეცდა და სხვა —სულ 218 კაცი უმსხვერპლია სამხედრო რეჟიმს. ამათ გარდა 400 კაცი გაპარულა ჯარიდგან, 725 კაცისთვის კიდევ საპყრობილეში დაპატიმრება მიუსაჯნიათ.

**ოსმალეთი.** მთავრობა, რაც ხანი გადის, უფრო მეტ სისასტიკეს იჩენს. ყოველ დღე აუარებელ ხალხს აპატიმრებენ. მარტო ერთ დღეს, პირველ მარტს, 60 აფიცერი დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულთა შორის ცნობილი გენერლებიც არიან. სულ ორის უკანასკნელ კვირის განმავლობაში დაპატიმრებულ იქმნა 146-მდე აფიცერი, მათ შორის ხუთი დივიზიის უფროსი გენერალია. სამხედრო მინისტრის ბრძანებით ოსმალეთის ჯარის აფიცრებს სასტიკადა აქვთ აკრძალული ევ-

---

რეალს შაჰნადირთან და ყანდაარს შთავიდა. ხოლო „ნადირშაჰს ყანდაარი მარტის 16 აეღო“ [12]. ერეკლე ბატონიშვილმა წაიყვანა ქეთევანი და გაუდგა საშიშარ გზასა, ერეკლეს იშედი ღვთის განგებაზედ ჰქონდა მინდობილი და მუდამ სიამოვნებით ჩაიღიღინებდა ხოლმე „უგანგებოთ ვერას მიზმენ, შეცთმებან ხმელთა სასხი“. ერეკლეს თან იახლნენ ისეთნი ომში გაწრთვნილნი და თავდადებულნი ქართველნი ვაჟკაცნი, რომ მართლაც უგანგებოდ ვინ რას დააკლებდა? აი სახელები ერეკლე ბატონიშვილის მხლებლებისა: ასლან ონანაშვილი (ვაჩნაძე), ამისი შვილი ფარსადან, ამილახვარი ასლან ავალიშვილი, ომან ჩოლაყაშვილი, ჯიმშერ ჩოლაყაშვილი, გიორგი ჩოლაყაშვილი, ბარამ ერისთავი, ნაზირი დავით ავალიშვილი, შერმაზან აფხაზი, ზაალ ანდრონიკაშვილი, პატარკაცი უტიაშვილი, ოთამ ?), გოგია ხამხაძე, გივი ბოდაველი, გოგია ცისკარაშვილი, ნასყიდა ზურაბაშვილი (ხეური), მგელია ქართლელი, ალალარი დილმანჯი, მუსა შათირი, ადი გოზალი, ქალბი ჯილაბდარი და სხვა მრავალნი.

მეფე თეიმურაზი ასე აგვიწერს ერეკლე ბატონიშვილის მხლებლებს ინდოეთში:

იგ თან ჩამოჰყვნენ ერეკლეს თავადნი თავდადებითა
ომან, ჯიმშერ და გიორგი, ასლან ჰყვა თანა ხლებითა,
ბარამ, დავით და შერმაზან, ზაალ არს თავის ნებითა
და მღვდელი ჰყვა დავით, დიაკვნად პართენ არს სახელდებითა.

—

კიდევ ახლდნენ მდაბალთაგან მონანი მსახურებია:
პატარკაცი და ოთამ, ხამხაძე—გლეხ-კაცებია;
მგელია ერთი ქართლიდამ, ისიც ამათთან მხლებია,
და ქრისტეანენი ესენი, ოთხნი ჰყვეს მას თათრებია:

—

ალალარი დილმანჯად ჰყვა, ქალბი ერქვა ჯილაბდრობდა,
მუსა იყო მსწრაფლად მსრბოლი, იგი ფიცხად შათირობდა,
ადი გოზალ გაუყრელად, სულ მუდამად ფარეშობდა.
და ჩვენნი იყვნენ ეს თათრები, ერთგულობით მოჰყვებოდა...

—

„ვიყავ ყანდაარს მჭმუნვარე, არა გულითა ლხინობით,
ვსთქვი ლექსი მცირე რაიმე, სევდისა მოსათმინობით;
აქ დავასრულე, ვინც ნახოთ, ნუ ვინ ვიქნებით წყინობით
და მაშინ ჯდა ქორონიკონი უნი კანი და ვინობით (1738 წ.)

—

„როდეს ყეენმან სეფი ხან ჰყო საქართველოს მცველია,
ჩვენ განბნეულნი ვიყვენით, სადა ტყე იყო ველია.
ზაკვით გვეფიცა მიგვინდო, ი კაცი იყო მელია
და მე, ამილახორს, ერისთავს, თარხანს შეგვიკრეს ხელია.

—

ჩვენ გაგვგზავნეს ყეენთანა, შეპყრობილნი ხელხუნდებით,
იქ ზოსიმე ხარჭაშნელი, თან გვიახლა თავის ნებით,
პაატა და ნათანელი, სულხან იყვნენ ჩვენთან ხლებით
და სხვა პაატა ტუსიშვილი და სოლომონ თავდადებით.

—

საგინაშვილი გიორგი თან გვყვა ისიც თავადობით,
ჯანგირაშვილი შათირი, შიოც მახლდა გლეხკაცობით
კახეთიდგან ეს რვა კაცი წამოვიდნენ გვერდ მხლეობდა
და ქართლიდამე ორი კაცი ძევაძე და ოთაობდა.

—

ჩაგვიყვანეს ისპაანსა, ჩვენ სიკვდილსა მას დღეს ველი,
განვერენით სიკვდილისგან, ღმერთმან დაგვცვა საფარველი!
კვლა სოფელმან უარესი მოაწია განსაცდელი:
და შვილებს მთხოვენ, შემექმნების დღე უწყალოდ დასასჯელი.

—

გაგზავნეს კახეთს ჩაფარი, არ ჩემთვის მოსალხენია:
მათ დამიბარეს ქალ-ვაჟი, დღე მქონდა მოსაწყენია!
სხვა ძე არ მყვანდა, გასინჯეთ, ვინც იყოთ კაცი ბრძენია!
და აღარვინ მრჩება ოჯახში, ვით მოვითმინო გენია!

—

ისპაანიდგან გაბძანდა ხელმწიფე სპითა დიდითა,
უბძანა მეწინავეთა—ყანდაარისკენ ვლიდითა.
იგ სამესისხლოდ აღძრული, არა გულითა მშვიდითა.
და ჩვენც თან წაგვასხმენ მაშვრალთა, არ იყვნენ კრძალვით-რიდითა!

—

წარვემართენით ყანდაარს, ვიარეთ ავი გზებია;
ბევრი გამოვვლეთ გზაზედა სიცხე და სიცივებია,
დიდად მაამეს ვინც მახლდა თავადი მსახურებია
და ჩვენ მოვაწიეთ ყანდაარს ვართ ციხის მაქებრებია!...

ყანდაარში მივიდა შაჰნადირი და გარს შემოადგა 20 იანვარს 1737 წ.

№...

განჯას რომ მიატანეს, ასლან ონანაშვილი მოხუცებული კაცი იყო და გზაში სიცივისაგან ავად შეიქნა. ერეკლე ბატონიშვილს ძალიან უყვარდა მოხუცი ასლანი, ენანებოდა უალაგოალაგას არსად მოგვიკვდეს და მამა-პაპის საფლავი არ დაეკარგოსო. ამიტომ ასლანი გამოაბრუნა გზიდგან და დედოფალს თამარს, თავის დედას ერეკლე ბატონიშვილი სწერს: № 3. „ქ: ღმერთმან: ბატონის დედოფლის: ერთის წუთის: შეწყენის: ჰირის: სანაცლო: ამყოფოს: მაგათის: მოშორვებისათვის: დიდათ: შეწუხებული: ერეკლე: მერმე: ეს: ასლანი: ერთი: ბერი: კაცი: არის: და: თან: აღარ: წავიყვანე: ისევ: დავაბრუნე: რასაც: ამაზედ: თვალსა და ყურს: დაიჭერთ: და: გებრალებათ: თქვენ: იცით: გავს (გავაზს?): რომ: ამას ყმა: ყვანდა: იმისი: მეც: წყალობა: უყავი: და: თქვენც: წყალობა: უყავით: რადგან: ყველას: ვისმენ: უბოძეთ: ამას: ისევ: უბოძეთ: ჩვენის: გულისთვის: თუ არა: იხტიერი: თქვენია: ამაზედ: ნუ გამიწყრებით. ბატონიშვილი ერეკლე.

თებერვლის გასულს წასულნი მაშათში ჩავიდნენ ღვინობისთვეში. ყანდაარს რომ მიატანეს, თეიმურაზმა იქ გაიგო ერეკლეს და ქეთევანის მოსვლა:

„რაღას ვაგრძელებ, მომესმა ამბავი საზარონია:
მრქვეს—მოიყვანეს მაშათსა შვილები შენნი ორნია!
უმკვიდროდ გახდა კახეთი, ეს ჩემგან საზრონია,
და ვთქვი—მომეახლა უცილოდ სულთა აღმოსლვის დრონია!..

შაჰნადირმა ბატონიშვილი ქეთევანი შერთო თავის ძმისწულს ალი-ყული-ხანს [1]). ერეკლე მივიდა ყანდაარში 21 მარტს და დიდის ამბით მიიღო, მიეფერა და ბოლოს შუბლშეკრულმა უბრძანა: „არ გასთათრდებიო? მაგრამ ერეკლე არ შეკრთა და ვაჟკაცურად უპასუხა—„ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერვის ძალ-უძსო და არც მე გავმაჰმადიანდებიო“. შაჰნადირი გააკვირა ასეთმა მკვახე პასუხმა და დაუყვავა: „ნუ გეშინიან, მე აღარ გაიძულებო“. ეს იყო მარტის 21. მეორე დღეს თეიმურაზს დაუბრუნა კახეთის მეფობა და თავის მხლებლებით გამოისტუმრა, მაგრამ გზაში მოიფიქრეს ზოგიერთმა—ახალგაზდა ერეკლე ბატონიშვილს რომ იმ ურჯულოებში თავს ვანებებთ და შინ მივდივართ, ეს რა კაცობააო? გზიდგან გაბრუნდნენ და მფარველი ანგელოზებივით ერეკლესთან მივიდნენ სოლომონ გურგენიძე და პაატა ტუსიშვილი.

პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

[12]) იხ. იქვე და Кишмишева—Походы Надыръ-шаха, 144 გვ.

[1]) თეიმურაზი ასე გვიხატავს ამ არა მკითხე მძახლობის გამო მწუხარებასა:

„იგი ძმის წული (ალი-ყული-ხანი) მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთვარია!
სახელად ერქვა ქეთავან, არს მზისა შესადარია!
ვაჟსა უწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია,
და იგი წამართვა, მე დავრჩი სიცოცხლე დასაზარია“...

—

„თვით ყეენმან უსამართლო საქმე იყო მეტად ძნელი,
გამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს ღამე ბნელი,
ძმისწულს მისცა შესართავად, კვლა ბოძებას აღარ ველი
და მისის მოშორვებით დამიწყლულდა გული მრთელი“.

—

ქეთევანი 14 წლისა მიიყვანეს მაშათში. ალიყული ხანთან სამი ქალი ჰყვანდა. ერთი მათგანი (?) იყო ბებია მუშთეიდისა, რომელმაც თავრიზი მოსცა გიორგი ერისთავს 1827 წ., გადმოსახლდა ტფილისში და დაბინავდა დიდუბის მინდორზედ, სადაც დღეს მუშტაიდის ბაღია. მუშთეიდი ერთხელ ბანაობდა აბანოში, მიეძინა იქვე და სიზმარში მოეჩვენა მოხუცი ბებია ქეთევანი, მკერდ-ძუძუ დაჭრილი და აყვედრიდა მუშთეიდს გათათრებასა. იხ. წერ. კათ. ხელნაწ.

№...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როპიელთა კლუბებში სიარული. კონსტანტინეპოლში ნამდვილი ტერრორია თურმე ახლა და თუ რამდენიმე ხანი კიდევ გასტანა ასეთმა სისასტიკემ, ოსმალეთს აღარც ერთი ნიჭიერი აფიცერი აღარ შერჩება, რომელთაც საზღვარ გარეთ მიიღეს განათლება. შეპყრობილთა ამბავს ველარავინა ტყობილობს თურმე. ბევრს ალრჩობენ.

## ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის წლიური კრება.

21 თებერვალს შესდგა საზოგადო წევრთა კრება ლანჩხუთის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა. ეს კრება გაგრძელება იყო ორ თებერვალს მომხდარ კრებისა, რომელმაც ცალკე კომისია ამოირჩია გამგეობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშის შესამოწმებლად. ამ მეორე კრებამ შეიწყნარა გამგეობის ანგარიში და დაამტკიცა სრულიად და სავსებით იმ სახით, როგორც პირველ კრებაზედ იყო წარმოდგენილი.

ამ ანგარიშიდგან სჩანს, რომ ამხანაგობას თავის მოქმედება დაუწყია 1900 წელ. იანვრის 5 რიცხვს და წარსულ საანგარიშო წლის (1901 წ.) ბოლოს ამხანაგობას ჰქონებია საწევრო ფული 6811 მანეთი, მოგება დარჩენია ყოველ ხარჯების გამოკლებით 1394 მ. 66 კაპ., მობარებული ფული 2445 მან. 84 კაპ., სათადარიგო თანხა 142 მან. 62 კაპ., სულ 10794 მ. 12 კაპ. რომ გამოვაკლოთ მიბარებული ფული,—ამხანაგობას თავისი საკუთარი თანხა ექნება 8,348 მან. და 28 კაპ.

ამხანაგობას ჰყავს 292 წევრი. მოგების გადადება მოინდომეს შენობის ასაგებად. ამაზედ ბევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მოგება დავირიგოთ და მით სხვა არა წევრნი წავახალისოთ, შემოგვიერთდნენ და მეტი ძალა მოვიპოვოთო, მაგრამ მომეტებული ნაწილი წევრებისა მიემხრო იმ აზრს, რომ უთუოდ შენობისთვის იქნას გადადებული და ვიდრე ამ შენობას დავიწყებდეთ, მიემატოს სათადარიგო თანხას საწარმოებლადაო.

შემდეგ მოინდომეს არჩევა კომისიისა შენობის ასაგებად, მაგრამ კრებამ ნაადრევად სცნო ესა, რადგანაც საკმარისი თანხა არა გვაქვს და უამისოთ-კი კომისიის დანიშვნა, საქმის დაწყება მოუხერხებელი იქნებაო. მოვიცადოთ ერთი წელიწადი კიდევ, ვიდრე საკმარისი თანხა შეგვიგროვდება და როგორც კომისიის არჩევას, ისე საქმის დაწყებას მაშინ შევუდგეთო. ამხანაგობის წევრნი ი. გოგიჩაიშვილი და გრ. ურატაძე დაჟინებით თხოულობდნენ კომისიის ეხლავ არჩევას და ამ საგნის დახურულ კენჭის ყრით გადაწყვეტას, მაგრამ კრების თავმჯდომარემ მათი კანონიერი მოთხოვნილება არ შეიწყნარა და განაცხადა, ვინც უკმაყოფილოა ჩემის მოქმედებით, განაცხადოს და მათი სურვილი ოქმში იქნება შეტანილიო.

ეს უკანონობა იყო. წესდება ავალებს კრების თავმჯდომარეს, როცა რომელისამე საგნის გარდაწყვეტას კენჭის ყრით თხოულობს თუნდა ერთი წევრი, კრების თავმჯდომარე ვალდებულია კენჭი უყაროს იმ საგანს.

შემდეგ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ გამორისხულ იქმნან ის წევრნი, რომელთაც წლის განმავლობაში არ შეუსიათ თავიანთი საწილო (25 მან.) ფული. კრებამ ექვსის თვის ვადა მისცა ამგვარ წევრთ და თუ ამ ხნის განმავლობაშიაც არ შეავსებენ, უნდა გამორისხულ იქნან ამხანაგობის წევრობიდგან.

კრებამ გადასწყვიტა აგრეთვე, რომ ერთი თვე ვადა მისცენ იმათ, ვინც 6 თვეზე ვერ შემოიტანს ვექსილით აღებულს ფულს.

სახელმწიფო ბანკიდგან სესხის აღების შესახებ კრებამ გადასწყვიტა გადასდოს ამ საგნის განხილვაც მომავალ კრებამდე, რადგანაც ჯერ სამინისტროს პირველი (1900 წლის) ანგარიში არ დაუმტკიცებია და უამისოდ სესხის აღება შეუძლებელი იქნებაო.

ახალ შემომსვლელ წევრთათვის საწილო ფულის მომატება. უკეთუ წარსულის წლის მოგება გადაიდება შენობის ასაგებათ, კრებამ დაადგინა: რადგანაც დღევანდელ ანგარიშით თვითეულ მოწილეს მოჰმატებია 5 მან. და 5 კაპ. ამის მიხედვით ახალ-შემომსვლელ წევრებს მოეთხოვოს საწილო (25 მან.) ფულზე გადამეტებული 5 მან. და 05 კაპ. და ეს გადამეტებული მიემატოს შენობის ასაგებ თანხას.

გამგეობის ჯამაგირის დანიშვნის შესახებ. კამათმა დიდი ალიაქოთი ასტეხა კრებაზედ, ბევრი იმას ამბობდა, რომ ამ ერთ წელიწადს კიდევ მუქთად გვემსახუროს გამგეობა და შემდეგ დავუნიშნავთ ჯამაგირსო. ბევრმა ახალ გამგეობის არჩევა მოინდომა, უკეთუ ძველები მუქთად არ გვემსახურებიანო. მაგრამ, ბოლოს, ბევრის ყვირილისა და ალიაქოთის შემდეგ, კრებამ დაასკვნა: უკეთუ ძველი გამგეობა დარჩება და უსასყიდლოდ სამსახურზე უარს განაცხადებს, დავუნიშნოთ წმინდა მოგებიდგან 10% შრომის ფასათო. ი. გოგიჩაიშვილმა და გრ. ურატაძემ მოითხოვეს გამგეობის შრომისათვის ფასის დანიშვნა და კრებას უსაყვედურებდნენ, სირცხვილია, ჩვენის მეტ სარგებლობის გულისთვის სამი კაცი დაისაჯოს და ეს, (მუქთად სამსახური) არამც თუ უნდა გვიხაროდეს, საწყენი უნდა იყოს, ყველა მუშაკი თავის კანონიერ შრომის ფასს უნდა იღებდესო. სთხოვა კრებამ გამგეობას დარჩენილიყო სამსახურში ამ ცოტა სასყიდლით (10%). გამგეობის წევრთ ერთმანერთში მოლაპარაკების შემდეგ განაცხადეს, რადგანაც სასურველად მიაჩნია ყველა თქვენგანს ჩვენი მუქთად სამსახური, ჩვენ გადავწყვიტეთ, არ ავიღოთ არც ეგ ათი პროცენტი მოგებისა და ერთ წელიწადს გემსახურებით კიდევ მუქთად, ისევე ერთგულად, როგორც დღემდე გვიმსახურნიაო.

კრება ამას ტაშის ცემით და ვაშას ძახილით მიეგება. შემდეგ მოხდა არჩევანები საბჭოს წევრებისა, რომლებიც მორიგეობით თავს ანებებდნენ. აქაც ისევ ძველები იქმნენ არჩეულნი, გარდა იონა გოგიჩაიშვილისა, რომელმაც თავისუფალ დროის უქონლობის გამო აღარ ისურვა სამსახურში დარჩენა და მის მაგიერ არჩეულ იქმნა მღვდელი მარკოზ ჯორბენაძე.

ბოლოს ამხანაგობის ერთმა წევრმა განაცხადა: ბატონებო, აუცილებლად საჭიროა საბჭოს მოქმედებას ყურადღება მივაქციოთ და მათ თავხედს საქციელს ფრთები შევაკვეცოთო. ჩვენ, როგორც სარევიზიო კომისიის წევრებმა, ვნახეთ საბჭოს ნამოქმედარი და აღმოჩნდა, რომ ვაჭრებისთვის და შეძლებულ ხალხისთვის უთავდებოთ უძლევიათ ფული; ხოლო ღარიბ ხალხისთვის ორ-ორის კაცის თავდებობით უძლევიათო. ამიტომ ურიგო არ იქნება თვით კრებამ დაავალოს საბჭოს, უთავდებოთ, როგორც ღარიბს, ისე მდიდარს, არ ენდნენ და მით პრივილეგიით სარგებლობა მოსპობილ იქმნასო. კრებამ უკანონოდ იცნო ამის დადგენა, რადგანაც ეს საკუთრივ საბჭოს უფლებაა და არა კრებისა.

ამით დაბოლოვდა კრება ამ სიმპატიურის დაწესებულებისა.

დამსწრე წევრი.

# დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 მარტი.

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, დიდნი მთავარნი და მთავრინანი დაესწრნენ 8 მარტს მარიინსკი თეატრში წარმოდგენას, გამართულს ღარიბ ბავშვთათვის მზრუნველ საზოგადოების სახელოსნო განყოფილების სასარგებლოდ.—დღეს შედგა უკანასკნელი სხდომა სამეცნიერო ფარმაციის კრებისა.

**ყაზანი.** სახალხო სიფხიზლის საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება. საზოგადოებასთან არსდება მუშათა არტელი.

**ლოძი.** ბირჟის კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს საზღვარ-გარეთიდგან სანიმუშოდ შემოსულ მატყლზედ ბაჟის მოსპობის შესახებ.

**ვაშინგტონი.** სენატმა 52 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 15-სა მიიღო კანონი პრეზიდენტის დასაცავი და მმართველობის წინააღმდეგ მომქმედთა დასასჯელი.

**პარიჟი.** პალატის დღევანდელ კრებაზე დაურიგდებათ „ყვითელი წიგნი“, რომელიც შეეხება საფრანგეთ-ოსმალეთის ინციდენტს. „ფიგაროში“ მოყვანილია რამდენიმე საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი საფრანგეთის მოქმედებას მხარს უჭერდა. ამ საბუთებს შორის პეტერბურგში მყოფ საფრანგეთის არის რწმუნებულს დეპეშა, რომლიდგანაც სჩანს, რომ გრაფმა ლამსდორფმა წინადადება მისცა რუსეთის ელჩს ბეჯითად მოსთხოვოს სულთანს ირადეზე დაუყოვნებლივ ხელის მოწერა.

**ბერლინი.** დღეს ბირჟის კომიტეტმა მიიღო ცნობა რუსეთის 1902 წლის 4% სესხის განაღდებაზე ჩინეთისაგან იქ დახარჯულ ფულის დასაბრუნებლად.

**პარიჟი.** გუშინ დაურიგდათ „ყვითელი წიგნი“, რომელშიაც მოთავსებულია საბუთები საფრანგეთ-ოსმალეთის ინციდენტის შესახებ. ეს საბუთები სრულიად უარყოფენ ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებულ ცრუ ხმებს, ვითომც რუსეთის დიპლომატია ხელს უშლიდა საფრანგეთის მთავრობის მოქმედებას. გაზეთებს „მატენ“, „ფიგარო“, „დებატი“, „პტი პარიზიენი“ და „რეპუბლიკ“-ს სიამოვნებით აღუნიშნავთ, რომ რუსეთისა და საფრანგეთის წარმომადგენელთ არ შეუწყვეტიათ ურთიერთ შორის თანხმობა.

10 მარტი.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია: უმაღლესი ბრძანება ფინანსთა სამინისტროს მიმართ რუსეთის ოთხპროცენტიან სახელმწიფო სესხის 1902 წლის შესახებ, გამოცემული გასანაღდებლად იმ ფულისა, რომელიც ერგება რუსეთს ჩინეთისაგან—სულ 181.959,000 მან. და განკარგულება, რომელიც გამოეცხადა სენატს ფინანსთა მინისტრისაგან ამ სესხის პირობების შესახებ.

„Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: „რადგანაც საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის რუსულ ენისა და სიტყვიერების განყოფილების შეერთებულმა კრებამ არ იცოდა ზოგიერთი გარემოება, უკანონოდ იქმნა ცნობილი საპატიო აკადემიკოსად არჩევა ალექსი მაქსიმეს ძის პეშკოვისა (ფსევდონიმით მაქსიმ გორკი), რომელიც სისხლის სამართლის წესების მე-1035 მუხლის ძალით“ უკვე სამართალში მიცემულია.“

**ბაქო.** თავადი ობოლენსკი, რომელმაც შემახაში დაჰყო ათ დღეს, ტფილისში გაემგზავრა. ამ დღეებში თავადმა დაათვალიერა შემახა, შემოიარა დაზარალებული სოფლები, ყველგან ამშვიდებდა ხალხს და გაჭირვებულთ შველოდა. ყველგან სიხარულით ეგებებოდნენ მეფისაგან გამოგზავნილ კაცს, რომელიც ხელმწიფის სახელით დაჰპირდა იმათ ბედ-იღბლის მოწყობას. შემოწირულება ყოველი მხრიდგან მოდის.

**ბონკონგი.** ქალაქი კანჩუ მეამბოხეთ დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** წარსულს 10 მარტის დეპეშაში გამოცხადებულს ცნობას, რომ პეშკოვის (მ. გორკის) საპატიო აკადემიკოსად ამორჩევა უკანონოდ იქმნა ცნობილიო, უნდა მიეწეროს, რომ იგი „საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის მიერ არის გამოცხადებული“.

დღეს ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული ვარშავის რკინის გზით კოპენგაგენში წაბრძანდა. ხელმწიფე იმპერატრიცა ვოგზალზედ გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა, ხელმწიფე იმპერატრიცამ ალექსანდრა თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე მემკვიდრემ, დიდმა მთავრებმა და მთავრინებმა.

**კოვნო.** შესდგა მერძევე მეურნეთა ამხანაგობა სახელად „ბირუტი“. ამხანაგობას აზრადა აქვს მერძეობის გაუმჯობესება.

**ვარშავა.** რადგანაც ვისლის მხრის რკინის გზებზე მოსამსახურეთა შორის მეტად ბევრია ჰლექიანი, გზათა გამგეობა საკუთარ სანატორიის გახსნას აპირებს სადგურ სენდაიშევის მახლობლად.

**პოლტავა.** პოლტავის გუბერნიის ასის წლის შესრულების გამო დღეს საკრებულო ტაძარში დიდის ამბით გადაიხადეს პარაკლისი.

**სარატოვი.** ქალაქის თეატრში საგანგებოდ იყო გამართული საღამო გოგოლის სახსოვრად.

**მოსკოვი.** გოგოლისა და ჟუკოვსკის სახსოვრად გამართულ გამოფენაზე ყურადღებას იპყრობს 1836 წლის „რევიზორის“ ეგზემპლიარი, რომელზედაც გოგოლისა და შჩეპკინის ნიშნებია.

11 მარტი.

**ორენბურგი.** გაიხსნა და დაიწყო მოქმედება რუსეთის საიბეთალო საზოგადოების ორენბურგის განყოფილებისა.

**კოვნო.** მართლმადიდებელთა სამღვდელოება გამოეთხოვა გუბერნატორად ყოფილს როგოვიჩს.

**მოსკოვი.** კონსერვატორიის დიდს დარბაზში სადღესასწაულო სხდომა ჰქონდა რუსეთის სიტყვიერების მოყვარულთა მოსკოვის საზოგადოებას. სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორმა ვესელოვსკიმ, ივანოვმა, ალფეროვმა, პროფ. კირპიჩნიკოვმა; თავადმა სუმბათაშვილმა წაიკითხა ლექსი; წაკითხულ იქმნა ადრესები, სხვათა შორის პეტერბურგისა, კიევისა, ვარშავის, გელსინგფორსისა და ხარკოვის უნივერსიტეტებისაგან.

**სოფია.** კაბინეტი შესდგა. მინისტრ-პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად დანევია.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულ იქმნა შინაარსი ინგლის-სპარსეთის კონვენციისა: სპარსეთი პირობას აძლევს გაიყვანოს ინგლისის უმაღლესის ზედამხედაობით ტელეგრაფი კაშანიდგან იეზდსა და კერმანზედ ბელუჯისტანის საზღვრამდე. სპარსეთი ამ ტელეგრაფს იჯარით აძლევს ინდოეთ-ევროპის სატელეგრაფო საზოგადოებას; ინგლისმა უნდა გადაიხადოს ხარჯი და ამისათვის სარგებელი არ უნდა აიღოს. ინგლისმა უნდა ყური უგდოს ტელეგრაფს და იხადოს იმის დასაცველად საჭირო დარაჯთა ჯამაგირი. კონვენცია ძალაში დარჩება 1925 წლამდე და შემდეგაც, თუ ის ხარჯი არ იქმნება გადახდილი, რაც გაყვანას დასჭირდა.

**კოპენგაგენი.** „რიტცაუს სააგენტო“ იუწყება, რომ ივნისს გრენლანდიაში წავა ექსპედიცია ადგილობრივ ბუნებისა და მცხოვრებთა შესასწავლადაო.

**პეტერბურგი.** 10 მარტს დაასაფლავეს პოლკოვნის ველცინის გვამი. დაესწრნენ ხელმწიფე მემკვიდრე და საიმპერატორო გვარეულობის წევრნი.

**პრეტორია.** ტრანსვაალის მთავრობის წევრნი: შალკბურგერი, რეიტცი, ლუკა მეიერი, კროგი, ვანდერველდი მიდელბურგიდგან აქ მოვიდნენ საპარლამენტო დროშით.

**პეტერბურგის ბირჟა** 8 მარტი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94, |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 4½—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96⅝ გაყიდ. |
| 4½% შინაგანი სესხი 1893 წ. | 93¾ წვრ.გაყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | — |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 470½ გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 369½ გაყიდ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 307 გაყიდ. |
| 4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 94⅛ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 83½ გაყიდ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 10,671 წვ. გაყ. |
| აქციები ,, | 531 გაყიდ. |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 4,750 გაყიდ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 435 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. | — |
| ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 226 წვ. გაყ. |

## ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

**ტფილისიდგან ბორჯომში:**

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

**ტფილისიდგან ბაქოში:**

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ტფილისიდგან ყარსში:**

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

**ბათუმიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

**ბაქოდგან ტფილისში:**

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბორჯომიდგან ტფილისში:**

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ (2 ს. 48 წ.).

**ყარსიდგან ტფილისში:**

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

**ქუთაისიდგან** ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

**ქუთაისიდგან** შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

# განცხადება

**ქუთაისის საიუბილეო კომისია** ამით აცხადებს, რომ 14 ამ თვეს (მარტს) ქუთაისში მოწვეული იქნება სახელოვანი მსახიობი **ვასო აბაშიძე**, რომლის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის პატივსაცემლად გაიმართება ამ დღესვე საღამოს ქალ. თეატრში **საიუბილეო წარმოდგენა.** წარმოდგენაში იუბილიარის გარდა მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ტფილისის დრამატიულ დასის მსახიობნი. იუბილიარს წარუდგებიან დეპუტაციები, წაუკითხავენ ადრესებს და ბოლოს გაიმართება აპოთეოზი.

ქუთ. საიუბილეო კომისია უმორჩილესად სთხოვს ყველას, ვინც-კი აფასებს ქართულ სცენას და განსაკუთრებით ქებულ მსახიობის ვასო აბაშიძის ნიჭს, კეთილ-ინებონ და დაესწრნენ ქუთაისში 14 ამ თვეს საიუბილეო დღესასწაულს. დეპეშები და საჩუქრები შეიძლება გამოგზავნილ იქმნას საიუბილეო კომისიის სახელზედ ქუთაისში, ვასილ ბეჟანიშვილის მაღაზიაში. (2—უ.—1)

**წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:**

| | |
|---|---|
| ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი | 15 კ. |
| ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა | 15 ,, |
| ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი | 5 ,, |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | 30 ,, |
| აბო ტფილელი, ე. კ. | 30 ,, |
| Або Тифлисскій, Е. К. | 5 ,, |
| ამბავი მადლის ქვისა | 5 ,, |
| აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ. | 15 ,, |
| ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი | 1 მ. 50 ,, |
| ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი | 40 ,, |
| ბენია. | 10 ,, |
| ბუნების სათვარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა | 15 ,, |
| ბაში-აჩუკი, აკაკისა. | 30 ,, |
| ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა | 1 მ. 30 ,, |
| ბლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. | 1 მ. 20 ,, |
| გამზრდელი, აკაკისა | 5 ,, |
| გასართობი | 10 ,, |
| გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ძე | 15 ,, |
| გუსტავ ვაზა | 5 ,, |
| Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ | 60 ,, |
| გიორგი და მიხეილი | 10 ,, |
| Древный Анчисхатскій соборъ. | |
| ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა | ,, 40 |
| შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა | ,, 30 |
| ჩანგი, ვ. აბაშიძისა | 1 ,, |
| ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა. | |
| Царица Тамара, М. Джанашвили | ,, 50 |
| ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა | ,, 30 |
| ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა | 1 ,, |
| Характеристики и воспоминанія Г. Туманова | ,, 50 |
| Карбеловъ | ,, 20 |
| დედა, ანდერსენისა | 8 ,, |
| დამონებულნი, თარ. ო. სახოკიასი | 1 მ. ,, |
| დაუჯდომელი წმ. ნინოსი | 20 ,, |
| Двѣ святины въ Кахетіи, Е. К. | 10 ,, |
| Давидъ Гареджели, Е. К. | 15 ,, |
| ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა | 15 ,, |
| ელენე, მოთხრობა | 5 ,, |
| Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили | 40 ,, |
| Назрѣвшій вопросъ, Е. К. | 20 ,, |
| ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა | 5 ,, |
| Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ. | 3 ,, |
| პატარა ლორდის თავგადასავალი | 30 ,, |
| პატრა ვეფხვის ტყაოსანი. | 25 ,, |
| რომას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა | 40 ,, |
| სიტყვიერების თეორია, ევ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა | 1 ,, |
| სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა. | 60 ,, |
| საერო დღესასწაული | 25 ,, |
| Въ Барсовой кожѣ, Мкинвари | 1 р. ,, |
| ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძისა. | 3 ,, |
| Заслуги Грузинскаго монашества, Е. К | 30 ,, |
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 მ. |
| თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა | 40 ,, |
| თამარ-დედოფლის სამკაული | 10 ,, |
| თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძისა | 50 ,, |
| ისტორია ქართულ სტამბებისა | 15 ,, |
| იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილისა. | 40 ,, |
| კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძისა | 60 ,, |
| კოპერნიკიდან დარვინამდე | 10 ,, |
| კანდელი, მ. ღლონტისა | 15 ,, |
| Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К. | 1 р. 50 к. |
| Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели | 30 ,, |
| კუბიკები ქართულის ანბანისა | 1 მ. 20 |
| ლექსები განდეგილისა | ,, 50 |
| ყვლოშვილისა | ,, 50 |
| რ. აბაშიძისა | ,, 60 |
| დ. გაბრუაშვილისა | ,, 25 |
| მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა | ,, 40 |
| მუშათა კითხვა | ,, 15 |
| მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყიფნიოშვილისა | 1 ,, |
| მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა. | ,, 40 |
| მეცნიერებისთვის წამებულნი | 1 ,, |
| Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева | 1 50 |
| ნელი და პატრაში, თრ. ეკ. წერეთლისა | ,, 10 |
| ნათელა, აკაკისა | ,, 20 |
| ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა | ,, 20 |
| ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი | ,, 40 |
| Новая постановка педагогическаго дѣла | ,, 20 |
| სამი ზოომა, ან. ფურცელაძისა. | ,, 50 |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა. | ,, 5 |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა | ,, 10 |
| სახუმარო გასართობი | ,, 10 |
| სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი | 1 ,, |
| სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა | ,, 30 |
| საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა. | ,, 50 |
| სუმბული, ს. ქვარიანისა. | ,, 20 |
| ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა | ,, 50 |
| უგვანოთა დადგენანი, მ. ჯანაშვილისა | ,, 15 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა | ,, 50 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა | ,, 20 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | ,, 10 |
| ქეთო და კოტე, საყმაწვილო მოთხრობა | ,, 5 |
| ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა | ,, 25 |

Дозволено цензурою. Тифлисъ 11 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე